ოზურგეთული ბრენდი მაღაზია
„ლიზი-2“ გილოცავთ შობა-ახალწლის!
მის: ქ. ოზურგეთი, თაყაიშვილის ქ. №10ა

ლაბირინთი „თავმოყრილობა“ გილოცავთ შობა-ახალწლის!

მის: ქ. ოზურგეთი, გურამიშვილის ქ. №25

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. № 1 (10340) 6 იანვარი , 2020 წ. ფასი 60 თეთრი.

მაღაზია «ნეპტუნი» გილოცავთ შობა-ახალწლის.
გთავაზობთ საუკეთესო ნატურალური პროდუქტებს!
მისამართი. ქ. ოზურგეთი, ჭავჭავაძის ქ. №15

ფრაგმენტები ოზურგეთის მერის საახალწლო ვოიაჟიდან

კონსტანტინე შარაშენიძემ „მედალფას“ ოზურგეთის სამედიცინო ცენტრში მოინახულა ახალ წელს დაბადებული პირველი ახალშობილი. კესო დარჩია 1 იანვარს 13 საათზე დაიბადა.

კონსტანტინე შარაშენიძემ ახალი წელი იმ ადამიანებს მიულოცა, რომლებიც სამსახურებრივი მოვალეობის გამო ახალ წელს საკუთარ ოჯახებში ვერ შეხვდნენ. მერმა საპატრულოს, პოლიციის, სამედიცინო და სახანძრო-სამაშველო სამსახურების , ასევე „ენერგო პრო ჯორჯიას“ თანამშრომლები მოინახულა და დაახალწლო საჩუქრები გადასცა.

მერი დაბა ურეკის კულტურის სახლში სადღესასწაულო ღონისძიებას დაესწრო, სადაც საქველმოქმედო აქციაც გაიმართა.

კონსტანტინე შარაშენიძე ახალ წელს მუნიციპალიტეტის სხვა ტერიტორიულ ერთეულებშიც იმყოფებოდა.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი თვიშაბათი ალიონზე

«ალიონით»

მელექედურში საზარელი მკვლელობა მოხდა

ალიონი. საახალწლოდ, ღამით სოფელ მელექედურში 80 წლის ქალბატონი მოკლეს.

როგორც სოფელ მელექედურის მაჟორიტარმა დეპუტატმა ლევან კილაძემ გვითხრა, ი.ხ. დილით, მეზობლებმა ლოგინში გაგუდული იპოვეს.

–გარდაცვლილი სოფელ მელექედურისა და სოფელ ოზურგეთის საზღვარზე, ყოფილი ჩაის ფაბრიკის მიმდებარე ტერიტორიაზე ცხოვრობდა. კარგი ქალბატონი იყო. დის-შვილები პატრონობდნენ. საახალწლოდაც ესტუმრნენ. ყაჩაღობის დროს ისინი სახლში არ იყვნენ. 2 იანვარს, დილით, მეზობლებმა ნახეს, რომ ი. ხ-ს ეზოს ჭიშკარი ღია იყო და ეზოში პირუტყვი იყო შესული. დისშვილის ავტომანქანა „მერსედესის“ მარკის ჯიპი წაყვანილი ჰყავდათ. სახლში გაგუდული ქალბატონი იპოვეს.

გამოძიება აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს –გვითხრა **ლევან კილაძემ.**

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

ზურაბ ნასარაიამ ხანდაზმულებს ახალი წელი მიულოცა

ალიონი. გურიის მხარის სახელმწიფო რწმუნებული ზურაბ ნასარაია, ოჯახთან და მოადგილესთან ქეთევან მოისწრაფეშვილთან ერთად, ანასეულის „ხანდაზმულთა სახლს“ ეწვია.

ზურაბ ნასარაიამ ბენეფიციარებს ახალი წელი მიულოცა და ჯანმრთელობა უსურვა.

„თქვენ ხართ სწორედ ის ადამიანები, რომლებსაც ჩვენი თანადგომა და ყურადღება სჭირდება. გილოცავთ ახალ წელს, მინდა ჯანმრთელობა, დიდხანს სიცოცხლე და ყველაფერი საუკეთესო გისურვოთ, მრავალს დაეს წარით".

„ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ბაზაზე არსებულ ხანდაზმულთა სახლში ამჟამად 15 ბენეფიციარია.

რას სთხოვს სანტას „მომავლის სხივის“ მოსწავლე საბა მუმლაძე

ალიონი სოფელ შრომის საჯარო სკოლის მოსწავლეები უკვე 8 წელია საახალწლო საჩუქრებს და ციტრუსს უგზავნიან სოციალურად დაუცველ ბავშვებს. ისინი სტუმრობენ საქველმოქმედო ასოციაცია „გურიას“ ბენეფიციარებს, მიდიან დღის ცენტრში „მომავლის სხივი“, სადაც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ბავშვები სკოლებში გაკვეთილების დასრულების შემდეგ ოჯახურ გარემოში აგრძელებენ სკოლაში მიღებული ცოდნის გაღრმავებას.

ახალი წლის დადგომის წინ შრომის საჯარო სკოლის წარმომადგენლობა ჯერ ასოციაციის „გურიას“ ესტუმრა, ხოლო შემდეგ დღის ცენტრს „მომავლის სხივი.“აქ ამჟამად 22 მოსწავლეა.

დღის ცენტრში საჩუქრების გადაცემას გაზეთ „ალიონის“ რედაქციაც ესწრებოდა. გულთბილად მიიღო სტუმრები დღის ცენტრის დამფუძნებელმა, ოზურგეთის საკრებულოს დეპუტატმა ხათუნა ცერცვაძემ.

–არაჩვეულებრივი გარემო, სისუფთავე, კარგი პედაგოგები –ასე მოკლედ დაგვიხასიათა დღის ცენტრი ქ. ოზურგეთის №1 საჯარო სკოლის მე-2 კლასის მოსწავლის ანასტასია მაჩაიძის დედამ, **ქეთევან რამინაშვილმა**.

ქალბატონ რუსუდან ცეცხლაძესთან ერთად ვეცადეთ, მოკლე დროში „გავშინაურებოდით“ ბავშვებს.

ხათუნა ცერცვაძემ გაგვიმხილა, რომ **საბა მუმლაძე** საინტერესო წერილებს წერს. ლაპლანდიაში, სანტასთვის გაგზავნილ წერილში წერს, რომ *„მაშინ ვიქნებით ყველა ბავშვი ბედნიერი, როცა საქართველო გაძლიერდება და გამთლიანდება“.*

საბას ნებართვით უფლისადმი გაგზავნილ წერილსაც გავეცანით:

„ჩადის მზე და თვალს მადგება რული. ვიძინებ იმ პირობით, რომ შევხდე ღმერთს და ვთხოვო, დაეხმაროს ბავშვებს, – იმათ, რომლებიც პურის ნატეხს, ანთებულ ბუხარს და თბილ საძინებელს ნატრობენ.

მე ვთხოვ ყველა ადამიანს, რომ გასცენ ტანსაცმელი და საკვები სხვებისთვის, არ აქვს მნიშვნელობა ვინ და რას ვთხოვს. ჩათვალე რომ ღმერთი გთხოვს, მიეცი და შენ ეს სიკეთეში ჩაგეთვლება.“

ამ ფიქრიანი და ნიჭიერი ბავშვებიდან **ანასტასია მაჩაიძემ** იყოჩაღა და მხატვრულად ანა კალანდაძის „თუთა“ წაგვიკითხა

წმ. ნიკოლოზის ხსენების დღეს, რომელიც სანტა კლაუსის სახელთანაც ასოცირდება, დღის ცენტრმა „მომავლის სხივი“ სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის საქველმოქმედო აქცია გამართა, რომელშიც ბევრმა ოზურგეთელმა მიიღო მონაწილეობა. საახალწლოდ დაახლოებით 30-მდე ბავშვს, რომლებიც „თოვლის ბაბუასაგან“ საჩუქრებს არ ელოდებიან –გადაეცათ იგი. ასეთი ბავშვების შერჩევა კვლავ გრძელდება. ხათუნა ცერცვაძემ ამჯერად ეს მისია ცენტრის სტუმარს, რუსუდან ცეცხლაძეს მიანდო..

როგორც რუსუდან ცეცხლაძემ გვითხრა,დღის ცენტრის საპასუხო საჩუქარი სოფელ შრომაში, მრავალშვილიანი ოჯახის შვილს, მე-6 კლასელ გოჩა ბრეგვაძეს გადაეცა.

ერთი წელი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებიდან

ალიონი. „ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის“ ვალდებულებებზე მუშაობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა, ყველა პარტნიორ ორგანიზაციასთან ერთად, „ღია მმართველობის პარტნიორობის ფორუმში ჩართვით ზუსტად ერთი წლის წინ დაიწყო.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ხელმძღვანელ ნანა თავდუმაძის თქმით, მემორანდუმი, რომელსაც ხელს აწერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მერია, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი – „პროგრესის სახლი“ გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი და საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი, ითვალისწინებს **OGP**-ს ფარგლებში ურთიერთპრაქტიკის გაზიარებას, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების საშუალოვადიანი სტრატეგიის შემუშავებას, ეფექტიანი მმართველობისა და მოქალაქეთა ჩართულობის ინოვაციური მეთოდების დანერგვას.

როგორც შესაბამის ანგარიშში ვკითხულობთ, 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმით აღებულ ერთ-ერთ ვალდებულებას საფუძვლად დაედო მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინიციატივა „თვითმმართველობა განათლებისათვის“. დაიგეგმა და განხორციელდა სამი მიმართულება – საინფორმაციო-საგანმანათლებლო, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული რესურსების გაცნობა და შექმნა; ეროვნული ბიბლიოთეკის ოფიციალური ვებ-გერდიდან მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდებზე გადასვლა და ღრმა ძიების ჩატარება.

მუნიციპალიტეტმა, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, დაიწყო სერვისების შეფასებისა და მოქალაქეთა კმაყოფილების დონის გაზომვის სისტემის დანერგვა. აღებული ვალდებულებით გათვალისწინებული აქტივობების შესასრულებლად მოსწავლემოხალისეთა კვალიფიკაციის ამაღლება, წინასწარ შედგენილი გრაფიკით, ორგანიზაცია „პროგრესის სახლმა“ განახორციელა..

დასკვნით ეტაპზეა 2019-2022 წლების ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმების შემუშავება დასკვნით ეტაპზეა და მას საკრებულო უახლოეს სხდომაზე დაამტკიცებს.

ღია მმართველობის პარტნიორობის საკითხებზე, ურეკში **OGP**-ში ჩართული მუნიციპალიტეტების შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე მზია გიორგობიანი. შეხვედრა ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების სტატუსის განხილვასა და ამ ვალდებულებების შესრულებისას მუნიციპალიტეტში დაგროვილი გამოცდილების გაზიარებას დაეთმო.

სამადლობელი

მერაბ ჯანუყვაძეს

ახალი არაფერი იქნება იმაში თუ ვიტყვი, რომ ხარ შესანიშნავი ადამიანი და არა სკამსა და თანამდებობაზე დამოკიდებული პირი. გიცნობს და გენდობა მთელი გურია, რომელიც ყოველთვის გელოდება და ყველგან გამოგყვება ხალხისთვის სასიკეთო საქმის საკეთებლად.

შენი მზრუნველობით გამაგრებული შავაძეების ოჯახი ახალ წელს გილოცავთ, მერაბ, საუკეთესო სურვილებით!

მაია ჩავლეშვილს

იშვიათია შენისთანა ადამიანები. შენ გაქვს ყველაზე დიდი სიმდიდრე – ხალხის ნდობა და სიყვარული. ჩემს თამუნას, შენი სახით, საუკეთესო მეგობარი ჰყავს. მადლობა ყოველივე იმისთვის, რასაც შენ აკეთებ ჩვენთვის, მთელი სოფლისთვის.

შენი ბედნიერების წელი ყოფილიყოს 2020, ჩვენო მაია!

მერი შავაძე
სოფ. მთისპირი

„გურიასა“ და „მეგობრობის“ ბენეფისი ჩოხატაურში

თემურ მარშანიშვილი



28 დეკემბერს ჩოხატაურის ფეშენებელურ კულტურის სახლში მყურებელმა დიდებული და დაუვიწყარი საღამო იხილა – 28 დეკემბერს აქ ოზურგეთის ჯუმბერ დუნდუას სახელობის ქართული ხალხური ცეკვების სახელმწიფო ანსამბლ „გურიასა“ და ანსამბლ „მეგობრობის“ წინასაახალწლო ბენეფისი შედგა.

ვიცოდი, რომ საგაზეთოდ რეცენზია უნდა დამეწერა და ყოველი შემთხვევისთვის, კონცერტამდე ერთი-ორი დღით ადრე, ინტერნეტში ქართული ხალხურ ქორეოგრაფიას გადავავლე თვალი, მაგრამ მანც ვერ ავცდი ამ თემაზე საყოველთაოდ ცნობილ და გაუცვეთელ გამონათქვამს: ქართულ გენიას „როკვით განვენილს“ ქართველივით სხვა ვერავინ წარმოგვიდგენს. უშუალოდ ამ კონცერტმა კი დამარწმუნა, რომ ქართულ ცეკვებს ყველაზე უკეთ გურულები ცეკავენ, დიახ, გურულები, როგორც ყველაზე მკვირცხლები და ყველაზე გონიერები.

შესაფასებლად ყველაზე ობიექტური კრიტერიუმი მაყურებლის ოვაციაა, რომელიც ყოველი ნომრის შემდეგ, „ბრავოს“ თანხლებით, უხვად იღვრებოდა მხურვალე აპლოდისმენტების სახით. სწორედ ამ შესახ-ილებმა და ხანგრძლივმა ტაშმა მათქმევინა ის, რაც სათაურში ვთქვი.

კონცერტზე წარმოდგენილი ცეკვები სხვათა შესრულებითაც მინახავს, მაგრამ ამ ტემპერამენტით, ამდენი ემოციით. ამდენი იმპროვიზ-აციითა და უშეცდომო ახალი ხაზით – ნაკლებად. საქმე ისაა, გურულებს, გარდა იმისა, რომ შეუდარებელი ქორეოგრაფები და მოცეკვავეები გვყავს, გენით მოგვდგამს ასეთნაირი როკვა.

მართლაც ბრავო „გურიასა“ და „მეგობრობას“!!!

მახსოვს, ოზურგეთში ბატონი ჯუმბერის ვარსკვლავის გახსნიდან ცოტა ხნის შემდეგ, ერთმა ჩვენებურმა კოლეგამ თავის მედიასაშუალებაში „ვარსკვლავოსან“ კაცზე წაიქილიკა და კითხვაც კი დასვა – რამდენად იმსახურებდა იგი ასეთ პატივდებას. ამ ქილიკსა და კითხვას საკადრისი პასუხის გასცეს დრომ, ხალხმა და ბატონი ჯუმბერის საზოგადო და ოჯახურმა დანატოვარმა. ოზურგეთში ჯუმბერ დუნდუას მხოლოდ ვარსკვლავი კი არ უნდა კიაფობდეს, არ-ამედ აქ ამ განუმეორებელი ხელოვანის ძეელიც უნდა იდგეს. და კიდევ: კარგი იქნება თუ ანსამბლ „გურიას“ სულაც „დუნდუას“ დავარქმევთ. რატომაც არა?! საქართველოში ქართული ცეკვების ყველაზე დიდ სახელმწიფო ანსამბლს ხომ ხალხმა ქალბატონი ნინოსა და ბატონი ილიკოს სიყვარულით შეარქვეს „სუხიშვილები“. ანალოგიური სიყვარულით სარგებლობს გურიაში აწ განსვენებული ჯუმბერ დუნდუა. ჩემი აზრით, არის ამაში ლოგიკა და არც ძნელად გადასაწყვეტი საკითხია.

არა მგონია ვინმეს შეხსენება სჭირდებოდეს თუ ვინ ხელმძ-ღვანელობენ დღეს ამ ანსამბლებს, უბრალოდ, საგაზეთო წერილის სტანდარტს ვიცავ და მანც აღვნიშნავ: „გურიას“ და „მეგობრობას“ ხელმძღვანელებია ქორეოგრაფები, დიდი ჯუმბერ დუნდუას შვილები კობა და ნათია დუნდუები.

და ბოლოს, წინასაახალწლო კონცერტის ინფორმაციულად უზრუნველმყოფები იყვნენ გაზეთები „გურია ნიუსი“ და „ალიონი“.

პირველი და საკვირველი!

თემურ მარშანიშვილი

მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრმა შარშანდელი წელი 27 დეკემბერს ახალგაზრდა მხატვარ გიორგი კონტრიძის პერსონალური გამოფენით დააგვირგვინა.

თავისუფალი უნივერსიტეტის ვიზუალური ხელოვნებისა და დიზაინის სკოლის მეორე კურსის სტუდენტი გიორგი კონტრიძე ბავშვობიდანვე ავლენდა ხატვისადმი განსაკუთრებულ ინტერესს და ოზურგეთის სამხატვრო სკოლაშიც გამოირჩეოდა თანატოლებში თავისი თავისუფალი, თამამი ხედვით, წარმოსახვითი ხაზებით, ორიგინალური ხელწერით, ახლისაკენ ლტოლვით, მიზანდასახულობით. უპირველესად, ამ თვისებების გამო, ის სამხატვრო სკოლის პედაგოგების, ცნობილი ოზურგეთელი მხატვრების საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა. სწორედ აქ ეზიარა გიორგი სახვითი ხელოვნების საწყის საიდუმლოებებს, აქ შედგა მისი ნათლობა, აქ მოვიდა მისი პირველი შემოქმედებითი გამარჯვებები ისეთ კონკურსებში, როგორიცაა: „ზამთრის ვერნისაჟი“, „პასქის ფესტივალი“, „შექმენი შენი კალენდარი“... მახსოვს, დარგის სპეციალისტებს თუ სახვითი ხელოვნების მოყვარულებს გიორგი ეკერათ პირზე.

მალე ლიხს იქეთაც ალაპარაკდნენ ახალგაზრდა ოზურგეთელ მხატვარზე. თვითონ არ იყო ისეთი ბავშვი თავში ავარდნოდა ამდენი ქება. ჩვეული სიდინჯით, სიმშვიდით, სიზუსტით, საოცარი შრომისმოყვარეობით განაგრძობდა საქმიანობას. ასე შექმნა ის, რაც დღემდე შექმნა და ჩვენამდე მოიტანა.

არ არის ეს ისეთი გამოფენა, გახსნის დღისთვის უამინდობას რომ შეეშალა ხელი. გიორგის ხელოვნება უყვართ ოზურგეთს და ოზურგეთელებს, სხვა სტუმრებიც ჰყავდა გამოფენაზე.

ადამიანებს განსხვავებული გემოვნება აქვთ. გამოფენილი ნამუშევრებიდან, მე, მაგალითად, ყველაზე მეტად მომეწონა „მობანავე ქალები“, „მარი“, „იოანე“, მთვარის შუქზე“ და „აკაკი“, რაც, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ დანარჩენები ჩამორჩებიან ამ ჩამონათვალს.

მოკლედ ეს არის 19 წლის გიორგი კონტრიძის პირველი პერსონალური გამოფენა – პირველი და საკვირველი!

დიდ, ძალიან დიდ საქმეს აკეთებს მერაბ ბერძენიშვილის სახელობის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი ახალგაზრდა ნიჭიერ მხატვართა ხელშეწყობის პროექტით. იგი, როგორც პროფესიული ორგანიზაცია, ზრუნავს მოიკვლიოს, დაინახოს და შეამჩნიოს რეგიონში მცხოვრები და მოღვაწე პერსპექტიული, კრეატიული აზროვნების ახალგაზრდები, გაუჩინოს მათ თვითრეალიზაციის მოტივაცია, უზრუნველყოს ფართო საზოგადოების წინაშე მათი წარდგენა.

შედეგიც სახეზეა: ოზურგეთს ტრადიციულად საუკეთესო ახალგაზრდა მხატვრები ჰყავს, რომლებიც, თავიანთ უფროს კოლეგებთან ერთად, ქმნიან სასურველ შემოქმედებით ამინდს გურიაში.



მონიკა ახვლედიანმა უკრაინაში საერთაშორიო ფესტივალზე გაიმარჯვა

ალიონი. ოზურგეთელი მონიკა ახვლედიანი უკრაინის ქალაქ ვინიცაში გამართულ ტალანტების საერთაშორისო ფესტივალზე „სინათლე უსაზღვროდ“ გამარჯვებული გახდა.

აღნიშნულ ფესტივალს წინ უძღოდა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით გამართული შშმ პირთა პროექტში „ივერია ბრილიანტი“ წარმატებული გამოსვლა. ქ. ქუთაისში მონიკა ახვლედიანმა გაიმარჯვა, ხოლო ასევე ოზურგეთელი თამუნა ლურსმანაშვილი მეორე იყო. ორთავენი უკრაინაში, ვინიცაში ფესტივალზე მიიწვიეს.

– ვინიცის ოლქის აკადემიური უკრაინის მუსიკალურ-დრამატულ თეატრში გამოსვლას წინ უძღოდა ქუჩაში გამართულ წინასაახალწლო კონცერტებზე გამოსვლა. ყველა მგულშემატკივრობდა.ფესტივალზე ჩემს მერ ნამღერი ლიკა ხანთაძის „იავნანა“ ჟიურიმ საუკეთესოდ ცნო და ფესტივალის გამარჯვებულად გამოაცხადეს. კიდევ ერთი სიხარული გველოდა – თამუნა ლურსმანაშვილის მერ აღებული მეორე ადგილი.

გამარჯვებას მილოცავდა დედა –სათუნა ცირეკიძე, ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი ნუგზარ ჭიაბერაშვილი, ვინიცის ოლქის კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელები მიხეილ კილიჩეკი და დიმა შვეცი, ფესტივალის ყველა მონაწილემეუბნებოდნენ: –„შენ სცენისთვის ხარ დაბადებულიო“. რაც მთავარია, ამჯერად რუმინეთში მიმიწვიეს შშმ პირთა საერთაშორისო ფესტივალზე –გვითხრა მონიკა ახვლედიანმა.

მონიკას თქმით, მის წარმატებას ის უწყობს ხელს, რომ იგი მღერის სხვადასხვა ჟანრის სიმღერებს. „ბრილიანტის“ ფესტივალზე აფხაზეთი ომისადმი მიძღვნილი „ჰეი,ბიჭებო“ იმღერა. ასევე მღერის:–მირანდა მაისურაძის „ქრიზანთემები,“ ლიზა ბაგრატიონის „მეგობრები“. მას მუსიკის პედაგოგი არ ჰყავს. სოფიო როტარუს ცნობილი „ადნა კალინას“ მომზადებაში დაეხმარა ვარდო ჯინჭარაძე. რეპერტუარის მრავალფეროვნება წარმატებების საწინდარია.

მონიკა ახვლედიანი მადლიერებით იხსენიებს საქველმოქმედო ასოციაცია „გურიას“ ხელმძღვანელს რომან ლომაძეს; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს კონსტანტინე შარაშენიძეს და მის მოადგილეს ირაკლი სირაძეს, რომლებიც დაეხმარნენ უკრაინაში გამგზავრებაში.

რუმინეთში ფესტივალი წელს, მაისის დასაწყისში გაიმართება.

მრავალ შობა-კალანდას!

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატები, მერიის თანამშრომლები და მერის წარმომადგენლები გილოცავთ ახალ 2020 წელს!

ლავრენტი ბიგვავა
საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე

გია მამაკაიშვილი
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

ალეკო მამეშვილი
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

გელა (ტარიელ) აროშიძე
ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე

მაია ჩავლეშვილი
ოზურგეთის მერის წარმომადგენელი მთისპირის ადმინისტრაციულ ერთეულში

გოჩა კილაძე
საკრებულოს აგრარულ საკით ხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე

ბახვა დოლიძე
საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“ თავმჯდომარე

დავით ჭაკნელიძე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება- კონსერვატორების“ თავმჯდომარე

გენო ჩავლეშვილი
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეების“ თავმჯდომარე

ვლადიმერ ჩავლეშვილი
მაჟორიტარი დეპუტატი სოფ. მთისპირი

ვალოდია ბერიძე
მაჟორიტარი დეპუტატი დაბა ნარეჯა

ვახტანგ (ბაჩანა) ნიჟარაძე
მაჟორიტარი დეპუტატი სოფ. ვაკიჯვარი

ავტონაწილების მაღაზია გილოცავთ შობა-კალანდას! და გთავაზობთ ყველა მარკის ავტომობილებისა და ტრაქტორების სათადარიგო ნაწილებს!

მის: ქ. ოზურგეთი, გურიის ქ. №3

„ენერგო-პრო ჯორჯიას“ ოზურგეთის სერვისცენტრი გილოცავთ შობა-ახალ წელს!

მრავალ შობა-კალანდას!

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატები, მერიის თანამშრომლები და მერის წარმომადგენლები გილოცავთ ახალ 2020 წელს!

ამირან გირკელიძე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი



თენგიზ ქუტიძე
ა(ა)იპ ოზურგეთის სერვისცენტრის დირექტორი

ეროდი გორდელაძე
საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო კომისიის თავმჯდომარე

პაატა კიღურაძე
საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი.
სოფ. ბაილეთი

თამაზ ტულუში
საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი.
სოფ. ნატანები

ლევან ნინიძე
საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი სოფ. ასკანა

გია ჩაგანავა
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

თამაზ ბურჭულაძე
საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი სოფ. შემოქმედი

ალექსანდრე ღლონტი
საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი.
სოფ. მერია

ბესო ქათამაძე
საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი.
დაბა ნასაკირალი

გიორგი მდინარაძე
ოზურგეთის მერის წარმომადგენელი ვაკიჯვრის ადმინისტრაციულ ერთეულში

გელა სალუქვაძე,
ოზურგეთის მერის წარმომადგენელი ჟიმითის ადმინისტრაციულ ერთეულში

გზამშენი-18

მრავალ შობა ახალ წელს, ჩვენო ოზურგეთელებო!

პრეზენტაცია შემოქმედურად

21 დეკემბერს, აკაკი სურგულაძის სახელობის სოფელ შემოქმედის საჯარო სკოლაში მოეწყო პრეზენტაცია პროექტისა „მეწარმეობის სწავლებით სკოლისა და თემის ერთობა“. ღონისძიება ორგანიზებული იყო შემოქმედის საჯარო სკოლის ლიდერ მოსწავლეთა და მასწავლებელთა ჩართულობით.

პროექტი დაფინანსებულია არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ მცირე გრანტების პროექტის ფარგლებში.

პრეზენტაციას, ისევე როგორც მთელ პროექტს, შემოქმედებითად, ანუ შემოქმედურად მიუდგნენ შემოქმედის საჯარო სკოლის მოსწავლეები, მასწავლებლები და სოფელში მცხოვრები მეწარმეები და ფერმერები.

ჩართულობა ვახსენეთ, ჩართულობასაც გააჩნია, პრეზენტაციაზე წარმოჩინდა, რომ შემოქმედელებმა ეს პროექტი ერთობლივი ძალით აიტაცეს და დასახული მიზნის მისაღწევად მაქსიმალურად გამოიყენეს მათი ფიზიკური და გონებრივი რესურსები, დამფინანსებლის რეკომენდაციები. მოსწავლეებმა და სხვადასხვა საგნის მასწავლებლებმა პროექტის ერთგვარი ბენეფისი მოაწყვეს. პრეზენტაციაზე, რომელსაც ესწრებოდნენ განათლების სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები და დარგის ცნობილი სპეციალისტები, დამსწრე საზოგადოების მიერ შესრულებული სამუშაოების შთამბეჭდავად აღქმას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სკოლის დირექტორის, ქალბატონი ნინო სადრაძის მაღალმა ორატორულმა ხელოვნებამ.

ღონისძიების მეორე ნაწილმა სკოლიდან შემოქმედის პარკში გადაინაცვლა სადაც მოეწყო საახალწლო ბაზრობა ადგილობრივ მეწარმეთა და სოფლის მცხოვრებთა მონაწილეობით. ბაზრობაზე ეკოლოგიურად სუფთა და ნატურალური პროდუქცია წარმოადგინეს: კონსტიტუციონალისტმა და მეღვინემ ვახუშტი მენაბდემ (მენაბდეების მარანი“), მეღვინე ანდრო ვაშალომიძემ, მეღვინე ილია ჩხატარაშვილმა („გურული მარანი“), ჩაის მწარმოებელმა კოტე ბასილაშვილმა („საქართველოს თაიგული“), მეფუტკრე მამუკა შუბლაძემ; ბაზრობაზე ასევე თავიანთი ნახელავი გამოიტანეს: ხალხური საკრავების ოსტატმა გიორგი კუჭუხიძემ, ჩიჩილაკის დამამზადებელმა გივი დათაშვილმა, მეყვავილე ალეკო ფირცხალაშვილმა.

თემურ მარშანიშვილი

ბაზრობა-იურმარკობა ნაგომარში – ტრადიციის აღდგენის წარმატებული მცდელობა

ალიონი. არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ხელშეწყობით, სოფელ ნაგომრის საჯარო სკოლის მიერ განხორციელებულ პროექტს, დიდი ალბათობით ისეთი უძველესი ტრადიციის აღდგენა მოჰყვება, რასაც ერქვა „ბაზრობა-იურმარკობა ნაგომარში“, რომელშიც, თავის დროზე, თითქმის მთელი დასავლეთ საქართველო მონაწილეობდა.

მინიპროექტი უძახეთ თქვენ და ამ მინიპროექტს იმხელა რეზონანსი მოჰყვა, რომ პრეზენტაციაზე განათლების სამინისტროს სპეციალისტებიც კი ჩამობრძანდნენ თბილისიდან. არც შემცდარან, რადგან იხილეს ისეთი იშვიათი ღონისძიება, რომელშიც ჩართული იყო მთელი სოფელი – მოსწავლეები, პედაგოგები, სკოლის დირექცია, ყველა ასაკის მოსახლეობა, სოფლის ხელმძღვანელობა.

24 დეკემბერს ფაქტობრივად ტრადიციული ბაზრობა „ნაგომრობა“ შედგა და ვიზიტორებმა უშუალოდ ნაგომრელი მეწარმეებისა და ფერმერებისაგან შეიძინეს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები – ჩაი, ჩირი, ბახჩეული კულტურები, ალკოჰოლური სასმელები, რძის ნაწარმი, ასევე გურიისთვის დამახასიათებელი კოლორიტული აქსესუარები.

რაც შეეხება თვით პროექტის პრეზენტაციას, ღონისძიების ორგანიზატორებმა (სკოლის დირექტორი ნოდარ წიტაიშვილი, პროექტის ხელმძღვანელი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი რუსუდან კალანდარიშვილი) სკოლის ამორტიზებულ შენობაშიც კი შეძლეს სტუმრებისათვის მრავალფეროვანი, დაუვიწყარი ღონისძიება ეჩვენებინათ – დაწყებული პროექტით გათვალისწინებული, საგნების მასწავლებელთა ხელმძღვანელობით, უშუალოდ მოსწავლეების მიერ ჩატარებული შესაბამისი კვლევებით, დამთავრებული მხატვრული ნომრებითა და ფოლკლორით. ალბათ, ამიტომ ვერ დაფარა განათლების სამინისტროს ცნობილმა სპეციალისტმა, ბატონმა რეზო აფხაზავამ ნანახითა და განცდილით თავისი აღტაცება: *„საჭირო და მნიშვნელოვანი პროექტია. დღემდე არ ვყოფილვარ ამ სოფელში. ბედნიერი ვარ, რომ ნაგომარი და ნაგომრელები ამ პროექტით გავიცანი“*.

„ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ხელმძღვანელმა, ქალბატონმა მარინა თოფურიამ დამსწრე საზოგადოებას ამცნო თუ რა მნიშვნელობა აქვს ასეთი მინიპროექტის განხორციელებას სოფლისთვის, მოსწავლეთა ჩართულობასა სამეწარმეო საქმიანობაში. ქალბატონი მარინას კითხვას – თუ რა მისცა ამ პროექტმა, – ნაგომრელმა ბავშვებმა საინტერესო პასუხები გასცეს, მათგან ყველაზე მოკლე, მაგრამ მრავლისმთქმელი შევარჩიეთ ამ წერილში ჩასადებად: *„სოფელი ხელახლა აღმოვაჩინეთ!“*

მორგებულად გვენიშნა ქალბატონი რუსუდან კალანდარიშვილის თქმული ილიასეული ფრაზა „შვილმა უნდა იცოდეს, სად გაჩერდა მამა“. ღონისძიებაზე წარმოჩინდა, რომ ნაგომრელები მხოლოდ ამის ცოდნით არ შემოიფარგლებიან, ამ და სხვა ანალოგიური პროექტებით აპირებენ, გააცოცხლონ და განავითარონ მამაპაპური ტრადიციები, სახალხო დღესასწაულები, მივიწყებული სამეწარმეო საქმიანობები, ტრადიციული ბაზრობა „ნაგომრობა“, რომლითაც სოფელი ოდითგანვე იყო ცნობილი.

წლეულს, ზაფხულში,მამია V გურიელის თაოსნობით დაფუძნებული ნაგომრის ბაზრობა-იურმარკობის დაარსებიდან 203 წელი გავიდა. ბაზრობა-იურმარკობა აქ, შეჩერებამდე, ყოველი წლის 17 ივლისს იწყებოდა და ორი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა.

მოკლედ, „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ხელშეწყობით განხორციელებული პროექტით, სკოლამ და სოფელმა გამოხატეს თავიანთი ნება, ახლა ჯერი ადგილობრივ ხელისუფლებაზეა, ვნახოთ, აღდგება თუ არა ტრადიცია, გაიმართება თუ არა ბაზრობა-იურმარკობა ნაგომარში მომავალი წლის ივლისში.

პროფესიის სიყვარულით

იბადებიან ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები, რომლებიც შემდეგ სასწაულებს ახდენენ მეცნიერების სხვადასხვა დარგში. ასეთ ადამიანთა კატეგორიას მიკეკუთვნება ბათუმის საზღვაო სამედიცინო ცენტრის ოფთალმოლოგიის განყოფილების გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ღრმად პატივცემული **კახა შარაშიძე**. ვინც ერთხელ მაინც ყოფილხართ ამ განყოფილებაში, ვიცი, უთუოდ დამემოწმებით. აქ ყოველთვის კახა ექიმის მოიმედე პაციენტების რიგია დილიდან საღამომდე, ოპერაციის დღეებშიც. ყურადსაღებია ის, რომ პაციენტებიდან ბევრი თბილისიდან არის ჩამოსული. ეს კი უდავოდ მეტყველებს ბატონი კახა შარაშიძის დიდ ავტორიტეტზე. აქ კეთდება წარმატებით თვალის ურთულესი ოპერაციები – უსაფრთხოდ და უმტკივნეულოდ. მე, როგორც პაციენტს, ეს ყველაფერი მინახავს და მიგრძნია ჩემს თავზე. ოპერაციის დროს ვგრძნობდი მხოლოდ თვალში სითხის ჩაწვეთებას, ექიმის ხელების მოძრაობას. 15 წუთში, როცა ოპერაცია დამთავრდა, მაგიდიდან ჩამოსაყვანად პირველმა ხელი გამომიწოდა კახა ექიმის მარჯვენა ხელმა ნინო ქათამაძემ და გამომაცილა. მადლობა მას ასეთი გულისხმიერებისთვის.

აქ ყველა კაბინეტი შეთანაწყობილად მუშაობს. რა თქმა უნდა, ესეც კარგ ხელმძღვანელზეა დამოკიდებული. მადლობა ყველას. ნათია ცეცხლაძემ თავი დამამახსოვრა თავისი ხაზით მოცემული რჩევა-დარიგებებით. მადლობა ოჯახის ექიმს ქ. კალანდარიშვილს დიდი ყურადღებისთვის.

მივმართავ ჩემს ოზურგეთელებს, ვისაც მხედველობის პრობლემა აქვთ: ნუ დაელოდებით იმას, რომ ვიღაც ჩამოვა თბილისიდან და გიმკურნალებთ, დაზოგეთ დრო, დაზოგეთ სახსრები და ჩვენგან სულ რაღაც 50-60 კილომეტრში მიდით ამ კლინიკაში.

ბრძენს კარგად აქვს ნათქვამი: ხალხი სასწორია, ის აგწონის და ფასსაც ის დაგადებსო. მეც ამ სასწორის პატარა ნაწილი ვარ.

ვახტანგ მარგალიტაძე.

თანაგრძნობა

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია ღრმა მწუხარებით იუწყება სოფელ ჭანიეთის საბავშვო ბაღის მენეჯერის **ნანული ლომჯარია-ქავთარაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მესამესკოლელთა ანსამბლი „თოლია“

გასული საუკუნის 70-იან წლებიდან მოყოლებული ძალზე პოპულარული გახლდათ იმჟამინდელ საბჭოთა ქვეყნებში ბავშთა საესტრადო ანსამბლი „მზიური“. რა გასაკვირვია, ოზურგეთში ჰქონოდათ სურვილი ნიჭიერ გოგონებს მსგავსი ანსამბლი შეექმნათ.

ანსამბლის წევრი **თამარ ასათიანი** იხსენებს: –1975 წელს საქართველოს ტელევიზიის პირველი არხი ატარებდა მუსიკალურ კონკურსს „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს“, რომელიც ძალიან მოგვწონდა. თანაკლასელ გოგონებთან ერთად სკოლაში, შესვენებისას ვმღეროდით და ვცეკვავდით კიდეც. სხვა თანაკლასელები თითქოს ჟიურის წევრები იყვნენ ქულებს გვიწერდნენ. ჩვენს რეპერტუარში ძირითადად იმჟამინდელი „მზიურის“ სიმღერები იყო. ჩვენ ამ დროს მე-7 კლასში ვსწავლობდით. კლასის დამრიგებელმა ნინა პშენიჩნაიამ და სხვა პედაგოგებმა შეამჩნიეს ჩვენი სიმღერისადმი ლტოლვა და საახალწლო კარნავალზე გვამღერეს.

მალე, ჩვენც „მზიურელების“ მსგავსად გვქონდა მუსიკალური ინსტრუმენტები: ორი ელექტროგიტარა, ელექტრონული პიანინო („ორნიკა“), დასარტყმელი ინსტრუმენტები. ანსამბლი ჩამოყალიბდა: *ნანა ლომაძე, ლელა ვაჩიბერაძე, მაია მესხია, რუსუდან რუსიძე, მანანა ბილიხოძე, მარინა კვაჭანტირაძე* და *მე*. ანსამბლს „თოლია“ დავართქვით. ჩვენც სკოლის ფორმებში გამოვდიოდით კონცერტებზე.

ანსამბლს ძალიან ეხმარებოდა ჩვენი თანაკლასელის ლელა ვაჩიბერაძის მამა ოთარ ვაჩიბერაძე, რომელიც იმ დროს საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის გურიის ზონის კორეპონდენტი იყო. მათი დახმარებით შევიძინეთ ელექტროპიანინო, რომელსაც მაია მესხია უკრავდა. ყველა ვმღეროდით. ...თავდაპირველად სკოლაში, შემდეგ კი ოზურგეთის პიონერთა სახლში ვმეცადინეობდით, რომლის დირექტორიც, ჟურნალისტი ზაირა ბილიხოძე იყო.

–სად მართავდით კონცერტებს?

–სკოლაში, პიონერთა სახლში. იმ დროს ოზურგეთში ტარდებოდა ე.წ. „ღია გასეირნება“, სადაც მთელი ქალაქი იყრიდა თავს. „ჭადრების ბაღში“ , სახელდახელოდ გამართულ სცენაზე ვმღეროდით.

თუმცა, ყველაზე დასამახსოვრებელი მაინც ჩვენს მიერ ქ. ფოთის ნავსადგურში რეიდზე მდგომ ცნობილი თბომავლზე „შოთა რუსთაველზე“ გამართული კონცერტი იყო,რომელსაც გემის ეკიპაჟის წევრების გარდა გემზე მყოფი ტურისტებიც ესწრებოდნენ. მართლაც დასამახსოვრებელი იყო...

შემდეგ რა გაგრძელება გქონდათ...

– ჩვენი ანსამბლმა 2 წელი იარსება. მე-9 კლასში რომ გადავედით, მაია მესხია თბილისში გადავიდა. უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად დავიწყეთ სამზადისი და მეცადინეობისთვის დრო ცოტა გვრჩებოდა... რა თქმა უნდა ვმღეროდით, მაგრამ სკოლის გარდა კონცერტები არ გაგვიმართავს.

ახლა კი, ყველა ბებიაა და კარგი ოჯახები აქვთ.

როგორც თამარმა გვითხრა,მათი ჯგუფიდან მუსიკალური განათლება ლელა ვაჩიბერაძემ მიიღო. მან კონსერვატორია დამთავრა და საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე მიჰყავდა მუსიკალური გადაცემა. მისი მეუღლე გია შერაძე ქ. თბილისის ვიცე-მერი იყო. ჰყავთ სამი შვილი; მაია მესხია, მანანა ბილიხოძე პედაგოგია. ასევე წარმატებულია სხვებიც.

წელს ზაფხულში ჰქონდათ დიდი შეხვედრა...

თამარს თავად საბუღალტრო-ეკონომიკური ფაკულტეტი აქვს დამთავრებული ოზურგეთის გამგეობის კულტურის განყოფილებაში მუშაობდა. მეუღლე –გია ნაკაიძე კი ანასეულის ინსტიტუტში.

–20 წელი გავატარეთ ემიგრაციაში საბერძნეთში, კუნძულ კრეტაზე. ჩემი ვაჟი ბექა ასათიანი (ბაბუის გვარს ატარებს) 15 წელი თამაშობდა აქ ფეხბურთს წარმატებული ფეხბურთელი იყო (ამის შესახებ გაზეთი „ალიონიც“ წარდა), მაგრამ მისი მონაცემებით კარგად სარგებლობდნენ ადგილობრივი კლუბები და სარფიანად „ჰყიდნენ“ იქეთ-აქეთ.

არ დარჩნენ ჩემი შვილები უცხოეთში და სამშობლოში დაბრუნება ისურვეს. ყველანი საქართველოში დავბრუნდით, მაგრამ ახალგაზრდებმა აქ ფეხი ვერ მოიკიდეს... იძულებულნი გახდნენ კვლა უცხოეთში წასვლაზე ეფიქრათ.

ბექა თავის ცოლ-შვილთან ერთად ამერიკაშია. უკვე სამი წელია ნიუ-ჯერსში ცხოვრობს ინგლისური ენაც იცის და თავისი კომპანია აქვს. ლაზარე უკვე მე-2 კლასის მოსწავლეა.

საფრანგეთში წავიდა ცოლშვილით მეორე ვაჟი გიორგი ნაკაიძე. ცხოვრებამ მოიტანა ასე, თორემ მათ თავიანთი სამშობლო თავზე მეტად უყვართ.

ნუგზარ ასათიანი

უცნობი დეტალები გურულ მოჯირითეთა ისტორიიდან

ლია წერილი გურულებს (გურიის მოქალაქეებს)

ძვირფასო მეგობრებო და ძმებო!

ამერიკის ცირკსა და **Wild West Show** (ველური დასავლეთის შოუ) საზოგადოებაში, რომელსაც თქვენი თანამემამულეები ეკუთვნოდნენ 1892-1920 წლებში, მონაწილეები ერთმანეთს „ძმებს“ ეძახდნენ, ეს სიყვარულის სიტყვა იყო აღიარება იმისა, რომ ყველანი მონაწილეთა ერთ ოჯახს ეკუთნოდა. მას შემდეგ, რაც თქვენი გურული ნათესავების ცხოვრების გამოკვლევა დავიწყე, ბოლო 7 წლის განმავლობაში მეც ჩემი თავი ჩავთვალე, როგორც ერთ-ერთი ამ ძმათაგანი. ჩემი კვლევა დაიწყო მაშინ, როცა გადავწყვიტე ჩემი ბაბუის ისტორიის აღმოჩენა. ალექსი გოგოხია, რომელიც, როგორც მე ვიცი,**Buffalo bill's Wild West Show** -ზე ჯირითობდა. მალე მივხვდი, რომ ყველა დოკუმენტსა და ისტორიაში, რაც **Wild West Show** შეეხებოდა ქართველი მოჯირითეები „რუს კაზაკებად“ იწოდებოდნენ დღესდღეობით, რამდენადაც მე განვაგრძობ კვლევას, პირველ რიგში „რუს კაზაკებზე“ უნდა მოვძებნო ინფორმაცია ქართველ ძმებზე რაიმე საინტერესოს საპოვნელად. ამ უსამართლობამ დამაწერინა ისტორიული ნაშრომი იმ ქალბატონებსა და ბატონებზე, რომლებიც ამერიკელების გასართობად ჯირითობდნენ.

ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი უდიდესი ბედნიერება 2000 წლის სექტემბერი იყო, როცა პირველად გურიაში ჩასვლის საშუალება მომეცა. წლებს ვატარებდი გურიის შესახებ ინფორმაციის კითხვაში, ქართული ადგილებისა და სახელების ძიებაში.დღეს კი გურული ძმების მიწაზე ვიდექი და თავს უფრო ახლო ნათესავად ვგრძნობდი.ბედნიერი ვიყავი ამ კუთხის არაჩვეულებრივ დამხდურებთან შეხვედრით, ესენია: ენვერ გოგუაძე,მაია თავაძე, ვახტანგ სიამაშვილი და ჩემი მასპინძელი მანანა ლომაძე. ამ ბატონებმა და ქალბატონებმა კიდე უფრო ღრმად შემაგრძნობინეს გურული სული და სტუმართმოყვარეობა.ვეწვიე ბახმაროს, ბახვს, ლანჩხუთსა და ოზურგეთს. შევხვდი რამდენიმე მოჯირითის ნათესავებს და გამოცა ამ პიროვნებების მიერ გამომჟღავნებულმა დიდმა ინტერესმა. ვცდილობდი, მომეთხრო, თუ, როგორი ცხოვრება ჰქონდათ მათ შორეულ ნათესავებს ამერიკის **Wild West Show**-ზე.მოვიარე თქვენი მინდვრები და მთები, გავიგე რა მოიტოვეს უკან ამ მოჯირითეებმა წლების წინ, როცა ამერიკაში გაემგზავრენ.

დღესდღეობით, მე განვაგრძობ ჩემს კვლევასა და წერას. 2001 წლის აპრილში საინტერესო აღმოჩენა გავაკეთე ,ერთ ნაკლებად ცნობილ ჟურნალში ერთი მოკლე წინადადება ამოვიკიხე: „კოზაკი გზაში გარდაიცვალა და მისი ნეშტი მშობელ ქვეყანაში ჩამოასვენესო“. სამი კვირის კვლევა-ძიების შემდეგ ამ ამბავს ფარდა აეხადა. ჯიულის ქივნი ბუფალო ბილისა და სალსბურის ხაზინადარი ზამთარში ლონდონში იმყოფებოდა. 1898 წლის სეზონისათვის ევროპული აქტების საიმედო დაცვის მიზნით,.ის თან გაჰყვა გერმანელ ცხენოსანთა ჯარის წარმომადგენელს, ირლანდიელ შუბოსნებს და „რუს კოზაკებს“ ლონდონში ეუსტონის სადგურამდე ლივერპულში გასამგზავრებლად, სადაც ცხენებშებმული ავტობუსი, რომელსაც ისინი 34 მილის მანძილზე პიერ პედამდე უნდა წაეყვანა. გემი „**RMS Campania**” მიბმული იყო მსოფლიოს უდიდეს მოძრავ სახმელეთო ნავსადგურში, რომელიც დაახლოებით ნახევარი მილის სიგრძისა იყო. გემზე მისასვლლად ჯიულ ქივნმა და მისმა თანხმლებლებმა გადაკვეთეს ნავმისადგომი გადებული ხიდის საშუალებით. კაპიტანი ჰენრი უოლკერი, რომელიც ცნობილი იყო მდინარე მერსის 30- ფუტიანი გემით, გასვლას ჩქარობდა .ცეცხლფარეში და მენახშირე გემბანიდან 80 ფუტის სიღრმეზე მზად იყვნენ საათში 20 ტონა ნახშირით 100 ღუმელი მოემარაგებინათ უმაღლესი სიჩქარის გასავითარებლად. პორტიები და სტიუარდესები მგზავრებს კაბინებში ათავსებდნენ.

ალექსანდრე ცინცაძე, რომელიც ამერიკაში პირველად 1893 წელს გაემგზავრა დიმიტრი მგალობლიშვილთან ერთად მუშაობდა ადამ ფორეპას შოუზე .იგი მაშინ 40 წლისა იყო და კარგად იცნობდა გემის ცხოვრებასთან დაკავშირებულ პროცედურებსა და წესებს. ნასწავლი ჰქონდა რამდენიმე საზღვაო სიტყვა: კიფო, პორტი, გემბანი. იგი გემებს შუა იდგა და დამტვრეულ ინგლისურს იმეორებდა. მისი მეგობრები, რომლებიც პირველად მგზავრობდნენ, გემის წინა მხარეს იდგნენ და თავს იქცევდნენ.ლუკა და კიდევ რამდენიმე სხვა, რომელთაც უკვე მრავალჯერ ემგზავრათ, საერთო დარბაზში ისხდნენ, ეწეოდნენ და კარტის თამაშს იწყებდნენ. ალექსანდრე ამ დროს, მოცურავე ბარჟების, პატარა ნავების და ნიჩბიანი ბუქსირების ცქერას ამჯობინებდა, რომლებიც ეს-ეს იყო „კამპანიას“ ადგილიდან დაძვრას ლამობდნენ.

ალექსანდრე გასცქეროდა, თუ როგორ ეფარებოდნენ თვალს ეკლესიები, გუმბათები და კოშკები, კვამლში გახვეული ლივერპულიდან. ფიქრობდა იმ დღეზე, როცა ბათუმიდან გაემგზავრა, რამდენიმე კვირის უკან .იგი კვლავ გაჰყურებდა თუ როგორ გადაჭრეს **perch bock fort**-ი და ნიუ ბრიგტონი, რომელიც მერსის სანაპიროს დასასრულზე მიგვანიშნებდა, გასცურეს ლივერპულის ყურე, რომელიც ირლანდიის ზღვის გავლით ქუინთაუნისაკენ მიდიოდა (ირლანდია).

ავიდნენ ქუინსთაუნში ადრე დილით, კვირას, 13 მარტს და გასცურეს კორკის ნავსადგური, იმავე დღეს ალექსანდრე აკვირდებოდა პეზაჟებს და და უსმენდა ეკლესიის ზარების რეკვას, რომელიც ხალხს მოუხმობდა. აკვირდებოდა კუინსთაუნის ნავმისადგომზე მოსიარულე ადამიანებს.ალექსანდრემ მაშინ არ იცოდა, რომ ირლანდიის ნაპირები მისი უკანაკნელი თვალის მოვლება იყო სამყაროსათვის.

ორი დღე ზღვაში ალექსანდრე თავს ცუდად გრძნობდა.იგი დარბაზში, სასადილოში შევიდა.ცოტა ჭამა და გულმკერდის არეში ტკივილს უჩიოდა .ცოტა მოგვიანებით საშინელმა ოფლმა დაასხა, გულის ტკივილი სტანჯავდა, რომელმაც მარცხენა ხელი წაართვა. გემის ექიმმა ედვარდ ფინუკანმა სიკვდილი გულის ღალატს მიაწერა. თავის სამედიცინო დასკვნაში იგი ასე გვიამბობს - 40 წლის რუსი, ალექსანდრე ცინცაძე, 1898 წლის 15 მარტი,სამშაბათი, შუადღე გარდაიცვალა გულის შეტევით. ექიმმა და სხვა სამედიცინო პერსონალმა წესისამებრ ზღვაში დასაკრძალავად მოამზადეს. თუმცა, ლუკა ჩხარტიშვილი დაჟინებით თხოვდა გემის უფროსებსა და ჯიულს ქივნს ,გვამის ნიუ იორკში დაკრძალვის ნებართვას. ჯიულსი პირველად გემის მესვეურებს ეთანხმებოდა,ზღვაში დაკრძალვა არანაირ ხარჯებთან არ იყო დაკავშირებული, ნიუ იორკში გადასვენება საკმაოდ ძვირი იყო. ლუკა თავისი მწირი ინგლისურით ცდილობდა აეხსნა, რომ სახლში მისი ნათესავები იფიქრებდნენ, თითქოს მოკლესო ალექსანდრე-თანაც დასძინა, რომ მათი წესი იყო მიწაში დასაფლავება, ცდილობდა აეხსნა , რომ მომავალ წელს მშობლიურ მიწას ჩამოიტანდნენ და მის საფლავს მოაყრიდნენ. ჯიულსმა ლუკას ურჩია, რომ ალექასანდრეს ნიუ იორკში დაკრძალვის ხარჯები მათ უნდა ეტვირთათ, შეთანხმდნენ, თუმცა მოსალოდნელ ხარჯებზე არაფერი იცოდნენ.

მეორე დღეს ჯიულსი ფიქრობდა „ რუსი კაზაკი“ მოჯირითეების პრობლემებზე და გადაწყვიტა,რომ თანხის მოძიებაში ყველა უნდა დახმარებოდა. მან საამისოდ კონცერტი მოაწყო , რომლისაგან ამოღებულ თანხას ალექსანდეს ოჯახსა და მის დაკრძალვას მოახმარდა. კონცერტზე ჯიულს ქივნის ვაჟიშვილი ვიოლინოზე სოლოს ასრულებდა. ჯიულსმა კომედიური პარტია განასახიერა,რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა.პატარა კონცერტმა კარგი ფინანსური შედეგი გამოიღო.

ისინი ჩავიდნენ ნიუ იორკში 1898 წლის 18 მარტს, პარასკევს ,მოღუშული დღე იყო, მისი გვამი გადმოსვენდა **North river**-ზე, მეორმოცე ნავმისადგომთან ,კლარკსონის ქუჩის ბოლოში, ნიუ იორკში.

ეს ერთ-ერთი იმ ამბავთაგანია ,რომელიც მე აღმოვაჩინე .კიდევ მეტს ჩემს მომავალ წიგნში იხილავთ.

კვლავ მჭირდება გურულების დახმარება წარსული ძმების ცხოვრების გასამდიდრებლად.ამჟამად მანანა ლომაძე ჩემი თანამკლევარია გურიაში და ვიმედოვნებ შეძლებთ ,როგორმე მიაწოდოთ ინფორმაცია თქვენი ნათესავების შესახებ .

წერას ვასრულებ ძალიან თბილი და დიდი სურვილებით ,იმედით, რომ კიდევ დავბრუნდები გურიაში.

რიჩარ ალექსი ჯორჯიანი გოგოხია,

ვალდორფი, ოქტომბერი

გილოცავთ ახალ 2020 წელს და შობის ბრწყინვალე დღესასწაულს. გისურვებთ ჯანმრთელობას, მშვიდობას, სიხარულსა და ბედნიერებას. პატივისცემით,

მარი ჩხიკვიშვილი

საკრებულოს „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე

მრავალ ახალ წელს, მრავალ შობას, მრავალ კალანდას, ჩემო თანამემამულეებო, ცხემლისხიდელებო, ოზურგეთელებო! ბედნიერება დაბედებოდეს თქვენს ოჯახებს!

ლალი სიჭინავა

სოფ. ცხემლისხიდის საჯარო სკოლის დირექტორი, მაჟორიტარი დეპუტატი

სურსათის გურიის რეგიონული სამმართველო გილოცავთ შობა-ახალ წელს!

გისურვებთ მშვიდობას, სიყვარულს, წარმატებას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

მანანა ერქომაიშვილი,

სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონული სამმართველოს უფროსი



შობა-კალანდის შემობრძანებას გილოცავთ ძვირფასო ოზურგეთელებო! ბედნიერი ყოფილიყოს 2020 წელი თითოეული თქვენგანისთვის

მარინა ჯაფარიძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი

კინოკლასიკად ქცეული მხატვრული ნაწარმოებები

საბაბი - ერთი ლამაზი ღონისძიება გახლდათ. მიზეზი- უფრო დიდი. ზამთრისთვის უჩვეულოდ თბილ დღეს, როცა სოფლის აღმართ-დაღმართ დაყოლილსა თუ აყოლილ გზას მიუყვები, თვალწინ იშლება სოფლის საკმაოდ რთული რელიეფი და მაინც მშვენიერი სანახები, გორაკთა ფერდობებზე შეფენილი სახლები. ზოგან,სოფლის სევდად ქცეული მიტოვებული ეზო-კარი. იშვიათად, მაგრამ გულგასახარად, ახლად აშენებული სახლები. ამ ფიქრებით, თანდათან უახლოვდები სოფლის საჯარო სკოლას. მიზეზიც სწორედ აქ იყო. სოფლის ხვალინდელი დღე. ის თაობა, რომელმაც ხვალ, ზეგ, და კიდევ მრავალ დღესა თუ წელს უნდა უპატრონოს, მოუაროს იმ ფუძე-კარს, საიდანაც შეიმეცნებს ადამიანი თავად სამყაროს. საიდანაც დღესაც ეცნობიან ცხოვრების ავსა თუ კარგს. სწორედ ისინი იყვნენ ჩვენი მასპინძლები. შრომის საჯარო სკოლის მოსწავლეები და რუსუდან მასწავლებელი.

სოფლის ცენტრში, მდინარე სეფას მშვენიერი ჭალის პირას, გარეგნულად თითქოს პირქუში, წელთა მდინარებას გამოვლილი, სკოლის შენობა დგას. მრავალ თაობათა აღმზრდელი და ახლაც ბავშვების ჟრიამულით სავსე. სკოლის კედლებზე მასწავლებელთა და მოსწავლეთა ერთობლივი შემოქმედებაა განთავსებული. ლამაზი კალიგრაფიით შესრულებული კედლის გაზეთები. თემატიკა– ეროვნული; ფორმები – თანამედროვე;

საბაბი ვახსენეთ წერილის დასაწყისში. ეს იყო ლიტერატურულ სალონ „ივერია“ -ს მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა სასწავლო, შემოქმედებითი კონფერენცია - „კინოკლასიკადქცეული ლიტერატურული ნაწარმოებები“ (II ნაწილი). ლიტერატურული სალონის და ღონისძიების ავტორი და ხელმძღვანელი, შრომის საჯარო სკოლის დირექტორი, ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელი **რუსუდან ცეცხლაძე.** საინტერესო იყო შერჩეული თემატიკა. სიტყვებად აკინძული და რეჟისორის თვალით დანახული გრძნობა-გონების ჭიდილი, კეთილისა და ბოროტის ბრძოლაში. ძალაუფლებასა და პატივმოყვარეობას, ნებისყოფასა და მრისხანებას, რეალობის სიმკაცრესა და წარმოსახვით სამყაროს შორის, სიყვარულის და სიძულვილის გზები და დამალულ გრძნობათა მდუმარება, ტრაგედიამდე მიმართული. ისტორიულ ეპოქათა ფრაგმენტები, იმჟამინდელ პერიოდში მყარად ჩამკვიდრებულნი და ეპოქათა მდინარების ბინადარნი. აქვე იყო წარმოდგენილი მოსწავლის, **ლიზი ხომერიკის** და მასწავლებლის **მაია გელაშვილის** ნახატები. ქალბატონი რუსუდანის ფოტოალბომი, ფოტო და ვიდეო ნაკრები ფილმებსა და პერსონაჟთა შესახებ.

ღონისძიების წამყვანი ნინო მერაბიშვილი. ლამაზი დღე, ლოცვის მადლით დაიწყო **მაგდა ცირდავამ.** კინოს და მხატვრული სიტყვის სამყაროს მეგზურები, **მარიამ კირკიტაძე** და **მაგდა გაგუა** იყვნენ, უილიამ შექსპირის „ჰამლეტის“ – დრამის, სასცენო, თუ კინოხელოვნების მიმოხილვით. „ყოველი ეპოქა ცდილობს ჰამლეტში თავისი თავი დაინახოს, ყველა დროის თეატრი ცდილობს იგი თავისი მაყურებლისთვის თანადროული, გასაგები და ახლობელი გახადოს“. თავად ჰამლეტი, „ეხმარება დედას სინდისის დაჭერაში, ... ეძებს სამოთხეს, მაგრამ ხვდება ჯოჯოხეთს.“

რაფაელო ჯიოვანოლის „სპარტაკი“ და ამავე სახელწოდების ერთი ფილმის კვალდაკვალ, ავტორები **გიორგი კალანდაძე, ჯემალ გოჩიტიძე;**

„ლამაზი მეგობარი“ და ფრანგული კინოს ახალი სიცოცხლე. ავტორი **ელენე კვაჭანტირაძე;**

გზა მაღალი საზოგადოებისკენ, სტენდალის „წითელი და შავი“, ავტორი **ნინო მიქელაძე;**

ტოლსტოის ანა კარენინას ფენომენი, ავტორი **ინა ჩიქოვანი;**

ჰემინგუეი ორი ნაწარმოებით იქნა წარმოდგენილი. „კილიმანჯაროს თოვლიანი მთა“ და ფილმი ხელმოცარული მწერლის ტრაგედიაზე; „მოხუცი და ზღვა“, მოთხრობა და ფილმი მამაც მეზღვაურზე. ავტორები: **ლუკა ხომერიკი, მარიამ კეჭაღმაძე;**

მშვენიერი და ქედუხრელი ანჟელიკას თავგადასავალი და მიშელ მერსიეს მარად უჭკნობი ეკრანული სახე, ავტორი **ანა ფუტკარაძე;**

უილიამ შექსპირის სონეტი წაიკითხა **ნინო ხომერიკმა;** შანდორ პეტიფის სასიყვარულო ემოციები ლექსით „მიყვახარ ძლიერ, ძლიერ“, VI კლასელმა **ლუკა ხომერიკმა** გაახმოვანა.

ლოცვით დაწყებული ლოცვითვე დასრულდა. ლოცვა სწავლის დასრულების შემდეგ, **თამუნა ძნელაძე.**

აქ, არა მხოლოდ მხატვრული სიტყვის და კინოხელოვნების მიმოხილვა, ასევე საინტერესო შტრიხები იყო წარმოდგენილი ნაწარმოებების ავტორთა და ფილმების, სპექტაკლების, მონაწილე პერსონაჟთა ისტორიებიდან. ასევე იყო იმ ეპოქისა და პერსონაჟებისმიერი, საინტერესო გზავნილები, მოსწავლეთა თვალით დანახული და დღევანდელობისთვის ყურადსაღები.

– იქ, სადაც ძალა მეფობს, სულიერება ზედმეტია? რაში გჭირდება იმ ადამიანის სახელი, რომელსაც ან შენ მოკლავ, ან ის მოგკლავს შენ, მაგრამ ეს ადამიანები ცდილობენ გაანგრიონ კედლები; ადამიანი შეიძლება მოსპო, მაგრამ ვერ დაამარცხო; ყველა გამოწვევა, ჩვენთვის სასარგებლოდ უნდა აღვიქვათ; მე ვეძებდი თუნდაც ერთ ღირსეულ ადამიანს; მოდით, ჩვენი მაგალითებით, ადამიანის ღირსება დავაყენოთ ყველაზე მაღლა;

შემაჯამებელ გამოსვლაში, რუსუდან მასწავლებელმა მადლობა გადაუხადა კონფერენციასა თუ პროექტში გამარჯვებულ მოსწავლეებს, **მაგდა გაგუას, ელენე კვაჭანტირაძეს,** ღონისძიების ყველა მონაწილეს, მშობლებს, მასწავლებლებს. „კომპიუტერის ეპოქაში მაინც გვყავს წიგნიერი თაობა. ადვილი არ არის დღეს წიგნთან მიიყვანო ბავშვი, მაგრამ ჩვენ ამას მაინც ვახერხებთ.“

ღონისძიების მნიშვნელობასა და ლამაზი დღისთვის, მადლობა გადაუხადა მოსწავლეებს, პედაგოგებს, სკოლის დირექტორს, მეცნიერთა და პედაგოგთა პროფესიული კავშირის ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარემ, ქ-ნმა **როზა გოგუაძემ** და საჩუქარი გადასცა მათ. წარმოდგენილი ნაწარმოებების მნიშვნელობაზე ისაუბრა გაზეთ „ალიონის“ რედაქტორმა **ნუგზარ ასათიანმა,** ადგილობრივმა მასწავლებლებმა, მშობლებმა.

ღონისძიებაზე, გამოსვლაში დავპირდი ჩემს სასიამოვნო მასპინძლებს, შთაბეჭდილებებს ექსკლუზიურად, საგაზეთოდ შემოვინახავ მეთქი. ვეცადე ემოციები, თავად წერ-ილში გამებნია. წიგნით დანახული ცხოვრება, იმდენგვარია, რამდენიც მკითხველია თავად, მისივე ფანტაზიით.აქ საუბარი შორს წაგვიყვანს. მთავარი - წვრთნა უკვალოდ არ იკარგება, არც კოლეგიალობა და, ეს რომ ასეა, რუსუდან მასწავლებლის ამჟამინდელ, თუ ყოფილ მოსწავლეთა სიყვარულში, პედაგოგთა ურთიერთ პატივისცემაშია ასახული.

ნინო ნიკოლაიშვილი.

7 დღის ამინდის პროგნოზი

6 იანვარი	7 იანვარი	8 იანვარი	9 იანვარი	10 იანვარი	11 იანვარი	12 იანვარი
ღრუბელი +4+11	ღრუბელი +6+11	მცირე წვიმა +3+10	წვიმა 0+5	წვიმა +2+8	ღრუბელი +2+9	მზე, ღრუბელი +1+9
ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა